ა) სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება: საზოგადოებრივი გეოგრაფია "Human Geography"

ბ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საზოგადოებრივი გეოგრაფიის მაგისტრი
MA in Human Geography

გ) პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 კრედიტი

დ) სწავლების ენა – ქართული

ე) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, საზოგადოებრივი გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტებს მისცეს ცოდნა და გამოუმუშავოს უნარ-ჩვევები, რომლის საფუძველზეც მათ შეეძლებათ სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების და პროცესების სივრცობრივი კანონზომიერებებისა და თავისებურებების გამოვლენა და აღნიშნულ სფეროებში მოსალოდნელი ცვლილებების პროგნოზირება ადგილობრივ, რეგიონულ და გლობალურ დონეებზე.

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებაზე სამაგისტრო სწავლების მთავარი დანიშნულებაა სტუდენტების მომზადება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში და ჩვენს დეპარტამენტში არსებული გამოცდილების საფუძველზე. ამ ამოცანის გადაჭრა ხორციელდება, როგორც დეპარტამენტის/მიმართულების, ასევე ფაკულტეტზე არსებული სამეცნიერო-პედაგოგიური პოტენციალის მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი გეოგრაფიის სპეციალობის ლექტორების ნაწილს დამთავრებული აქვს უცხოეთის სასწავლებლები ან საზღვარგარეთ უმუშავიათ სხვადასხვა სასწავლო-კვლევით ორგანიზაციებში. ეს საშუალებას აძლევს ჩვენს სტუდენტებს "პირველი ხელიდან" მიიღონ ინფორმაცია უცხოური გამოცდილების შესახებ.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში დიდი ყურადღება ეთმობა ტურიზმის განვითარებას. საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებამ, რომელსაც ტურიზმისა და რეკრეაციის გეოგრაფიის სფეროში სწავლებისა და კვლევის კარგი გამოცდილება გააჩნია, გადაწყვიტა 2011-12 სასწავლო წლიდან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს აღნიშნული დარგის სპეციალისტების მომზადებას. ამ მიზნით საზოგადოებრივი გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამას დაემატა ტურიზმთან დაკავშირებული 3 ახალი სასწავლო კურსი და პროგრამაში შეიქმნა მოდული "ტურიზმის გეოგრაფია და სივრცითი განვითარება". ამასთან, საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტი (მიმართულება) აგრძელებს მისი ტრადიციული მოწინავე მიმართულების სოციალურ-პოლიტიკური გეოგრაფიის მდიდარ ტრადიციებს და შესაბამისად, სახეზეა სამაგისტრო პროგრამის მეორე მოდულიც „სოციალური და პოლიტიკური გეოგრაფია".
წარმოდგენილი პროგრამა შეიძლება დაიყოს სასწავლო და კვლევით კომპონენტებად. აქედან, სასწავლო კომპონენტი შეადგენს მთელი პროგრამის 75% (90 კრედიტი), ხოლო დანარჩენი 25% (30 კრედიტი) მოდის კვლევით კომპონენტზე, რომელიც წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომით.

სამეცნიერო თემატიკა, რომლის ფარგლებშიც მაგისტრანტს შეუძლია სამაგისტრო ნაშრომის შერჩევა საკმაოდ ფართოა. პროგრამის ორივე მოდული პირობითად მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- საზოგადოებრივი გეოგრაფიის თეორია და მეთოდოლოგია;
- ტურიზმისა და რეკრეაციის გეოგრაფია;

- გეოურბანისტიკა;
- მიწის მენეჯმენტი;
- პოლიტიკური გეოგრაფია (გეოპოლიტიკისა და ეთნოკონფლიქტების ჩათვლით);
- სოციალური და კულტურის გეოგრაფია;
- მეურნეობის გეოგრაფია;
- გლობალიზაცია და განვითარების გეოგრაფია;
- მოსახლეობის გეოგრაფია;
- ქვეყანათმცოდნეობა.

მაგისტრის ხარისხის მაძიებლები სამაგისტრო შრომას ასრულებენ, როგორც წესი, სხვადასხვა ორგანიზაციებში და რეგიონებში შეგროვებული მასალების საფუძველზე. საველე კვლევა რამდენიმე თვის განმავლობაშიც კი გრძელდება. ამ პროცესში ისინი არაოფიციალურად ჩართული არიან შესაბამისი ორგანიზაციების, საწარმოების, დაწესებულებების მუშაობაში. დეპარტამენტს განზრახული აქვს აღნიშნულ ურთიერთობებს ოფიციალური სახე მისცეს ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე.

ვ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი;
- საერთო სამაგისტრო გამოცდა;
- გამოცდა საზოგადოებრივ გეოგრაფიაში;

ზ) სწავლის შედეგი;

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მაგისტრი არის სპეციალისტი, რომელმაც აითვისა საზოგადოებრივი გეოგრაფიის და მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინების სამაგისტრო კურსები ორი ძირითადი მიმართულებით: 1) "ტურიზმის გეოგრაფია და სივრცითი განვითარება" და 2) "ს ოციალური და პოლიტიკური გეოგრაფია". ჩვენი სპეციალობის მაგისტრს ხელეწიფება დამოუკიდებელი მეცნიერული მუშაობა, კერძოდ შეუძლია სალიტერატურო, სტატისტიკურ და სხვა სახის წყაროებთან მუშაობა, გეოინფორმაციული სისტემების ტექნოლოგიების გამოყენება, კონკრეტული საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების დრო-სივრცითი ანალიზი და მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირება.

ცოდნა და გაცნობიერება	სამაგისტრო პროგრამის გავლის შედეგად მაგისტრს ექნება ფართო წარმოდგენა და საფუძვლიანი ცოდნა ძირითადი თანამედროვე გეოგრაფიული კონცეფციებისა და პარადიგმების შესახებ, რაც მას დაეხმარება სწორი წარმოდგენა შეიქმნას მსოფლიოში და საქართველოში მიმდინარე მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების, განსაკუთრებით მათი სივრცითი გამოვლინებისა და ტერიტორიული თავისებურებებზე. ხელეწიფება საზოგადოების განვითარების თანამედროვე ტენდენციების სწორად გაგება და შეფასება. გაცნობიერებული ექნება ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და თანამედროვე ტექნოლოგიების როლი დემოკრატიული და ჰარმონიული ტერიტორიული განვითარების პროცესში. ეცოდინება კვლევითი და საექსპერტო საქმიანობისათვის საჭირო პროფესიული ეთიკის ნორმები.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება / პრაქტიკული უნარები	მაგისტრს ექნება საკმარისი კომპეტენცია, იმისათვის, რომ პროგრამის დასრულებისთანავე სრულფასოვნად ჩაერთოს პროფესიულ საქმიანობაში სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან კერძო სექტორში, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო მასშტაბით. მას ეცოდინება, როგორ მოიპოვოს, დაამუშავოს, წარმოადგინოს და შეინახოს სივრცითი და ატრიბუტული ინფორმაცია, როგორ იმუშაოს მონაცემთა წყაროებთან და მონაცემთა ბაზებთან; მას ექნება თანამედროვესაინფორმაციო და საკომუნიკაციო გის ტექნოლოგიების საფუძვლიანი ცოდნა და მათი პრაქტიკაში/კვლევაში გამოყენების უნარი. შეეძლება სამეცნიერო პროდუქციის შექმნის, წარმოდგენისა და გამოყენების უნარი. სწორედ იყენებს გეოგრაფიულ ტერმინოლოგიას.

დასკვნის უნარი	შეუძლია მეცნიერული პრობლემის იდენტიფიცირება და ანალიზი. შეუძლია სოციალური და გეოგრაფიული პროცესების შესახებ მეცნიერული დასკვნების გაკეთება და რეკომენდაციების შემუშავება.
კომუნიკაციის უნარი	შეძლება დისკუსიებში და მსჯელობებში მონაწილეობა, ექნება კრიტიკული აზროვნების, ინტერდისციპლინურ და ინტერკულტურულ გარემოში თანამშრომლობის უნარი. შეუძლია მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაცია. ფლობს ინგლისურ ენას B2 დონეზე – წარმოადგენს დამოუკიდებელ მოსაუბრეს გეოგრაფიის სფეროში. შეუძლია დროის დაგეგმვა და მართვა (დროის მენეჯმენტი) დასახული მიზნის მისაღწევად. ხელეწიფება ინდივიდუალური და გუნდური მუშაობა შესაბამისი კომპეტენციის ფარგლებში. იცნობს და იყენებს თანამედროვე ზოგად საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, მათ შორის გის ტექნოლოგიებს.
სწავლის უნარი	შეუძლია ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.შეუძლია სწავლა და ცოდნის მუდმივი განახლება. დარგის ცოდნა-გააზრება და პროფესიის გათავისება. შეუძლია დამოუკიდებლად მუშაობა. შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მიღება, დამუშავება, ანალიზი და მონაცემების ინტერპრეტაცია, მეცნიერული რეკომენდაციების შემუშავება. შეუძლია დაკისრებული ამოცანებისა და ვალდებულებების პასუხისმგებლობით შესრულება.
ღირებულებები	კურსდამთავრებულები წვლილს შეიტანენ ისეთი ღირებულებების დამკვიდრებაში, როგორიცაა ტოლერანტობა, პასუხისმგებლობა, სამართლიანობა, შრომისმოყვარეობა, ადამიანის უფლებების პატივისცემა.

თ) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

- ვერბალური, ახსნა-განმარტებითი მეთოდი;
- ლიტერატურასა და სხვა წყაროებზე მუშაობის მეთოდი;
- საველე კვლევისა და დაკვირვების მეთოდი;
- შედარებითი ანალიზის მეთოდი;
- სივრცით-დროითი ანალიზის მეთოდი;
- სისტემური მიდგომის მეთოდი;
- მონაცემთა ვიზუალიზაციისა და კარტოგრაფიული მეთოდი;
- სტატისტიკური ანალიზის მეთოდი;
- გუნდური მუშაობა და დისკუსია;
- გეოინფორმაციული (გის) და დისტანციური ზონდირების მეთოდი;
- SWOT ანალიზი.

ი) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;

(A) 91 -100 ფრიადი
(B) 81 -90 ძალიან კარგი
(C) 71 -80 კარგი
(D) 61 -70 დამაკმაყოფილებელი
(E) 51 - 60 საკმარისი
(FX) 41 - 50 ვერ ჩააბარა, სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება
(F) 0 – 40 ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მიღებისთვის თავიდან უნდა გაიაროს კურსი

კ) სასწავლო გეგმა

წარმოდგენილი პროგრამა მოიცავს სავალდებულო და სავალდებულო-არჩევით კურსებს, აგრეთვე სამაგისტრო ნაშრომს.
მაგისტრის ხარისხის მისაღებად მაგისტრანტმა უნდა შეასრულოს:

- პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები - 30 კრედიტი
- მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები - 30 კრედიტი;
- არჩევითი სასწავლო კურსი - 10კრედიტი;
- თავისუფალი კრედიტი - 20 კრედიტი;
- სამაგისტრო ნაშრომი – 30 კრედიტი;

დეტალური ინფორმაციისათვის იხ. სასწავლო გეგმა.

ლ) პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი გიორგი გოგსაძე

მ) დასაქმების სფეროები: სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის კათედრის (2005 წლიდან საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტის, შემდეგ მიმართულების) კურსდამთავრებულები წარმატებით იყენებენ მიღებულ ცოდნას მეცნიერულ და განსაკუთრებით პრაქტიკულ საქმიანობაში. ჩვენმა კურდამთავრებულებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სხვადასხვა პერიოდში საზოგადოებრივი გეოგრაფიის სპეციალისტები მუშაობდნენ და მუშაობენ სხვადასხვა საპასუხისმგებლო სახელმწიფო თანამდებობებზე. ჩვენი დეპარტამენტის კურსდამთავრებულებს შორის იყვნენ/არიან 2 პერემიერ-მინისტრი, 4 მინისტრი, 10-მდე მინისტრის მოადგილე და მათთან გათანებრებული პირი, 12 ელჩი. ორი კურსდამთავრებული ამჟამად მუშაობს ვაშინგტონში მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის შტაბ- ბინაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ შრომით ბაზარზე მთლიანობაში საზოგადოებრივი გეოგრაფიის სპეციალისტებზე მოთხოვნა საკმაოდ დიდია და ეს მოთხოვნა არ მცირდება. წარჩინებულ სტუდენტებს დეპარტამენტი რეკომენდაციას გაუწევს შესაბამის სამთავრობო და კერძო ორგანიზაციებში მათი შრომათმოწყობის მხრივ.

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მაგისტრების დასაქმების შესაძლო სფეროებს წარმოადგენს: სამთავრობო ორგანიზაციები (მათ შორის დიპლომატიური სამსახურები), საგანმანათლებლო, გეგმარებითი, გარემოსდაცვითი და ტურისტული დაწესებულებები; არასამთავრობო და კომერციული სექტორი.

ნ) დამატებითი ინფორმაცია

საზოგადოებრივი გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამები არსებობს თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში. ჩვენი მიმართულების მიერ წარმოდგენილი პროგრამა ყველაზე ახლოს არის კონტინენტური ევროპის, განსაკუთრებით შვედეთის, ფინეთის და ყოფილი საბჭოთა კავშირის უნივერსიტეტების სამაგისტრო პროგრამებთან. აღსანიშნავია, რომ საქართველოში საზოგადოებრივი გეოგრაფიის პროგრამა (როგორც მაგისტრატურის, ასევე ბაკალავრიატის და დოქტორანტურის დონეზე) წარმოდგენილია მხოლოდ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მოცემული სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულია გეოინფორმაციული სისტემების (**GIS**) სწავლება, რაც მთლიანად შეესაბამება საზოგადოებრივ გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამებისადმი წაყენებულ მსოფლიო მაღალ სტანდარტებს.

ინფორმაცია მისაღები კონტიგენტის შესახებ: პროგრამას შეუძლია 30-მდე სტუდენტის მიღება.

სწავლის გაგრძელების საშუალება: სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგი უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის შემდგომ საფეხურზე - დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების საშუალებას.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: სამაგისტრო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს თსუ.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ:

- თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

- უნივერსიტეტის რესურს ცენტრები;
- ელექტრონული ჟურნალები და ბაზები;
- უნივერსიტეტისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა;
- სტუდენტის რეგისტრაციისა და სასწავლო პროცესის მართვის საუნივერსიტეტო ქსელი.

პროგრამის სტრუქტურა და მოცულობა

პროგრამა შედგება ორი მოდულისგან:

1. სოციალური და პოლიტიკური გეოგრაფია
2. ტურიზმის გეოგრაფია და სივრცითი განვითარება

მიმართულება მაგისტრანტს სთავაზობს 24 სასწავლო კურსს (125 კრედიტი) და სამაგისტრო ნაშრომს (30 კრედიტი) - ჯამში 155 კრედიტი

მაგისტრანტი ვალდებულია შეასრულოს 120 კრედიტი შემდეგი სქემით:

- პროგრამის სავალდებულო კურსები - 60 კრედიტი (მათ შორის სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტი).
- მოდულის სავალდებულო კურსები (მოდული 1 ან მოდული 2) - 30 კრედიტი.
- პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსი - 10 კრედიტი (მოდული 1 ან მოდული 2-დან)
- თავისუფალი კურსები - 20 კრედიტი. მაგისტრანტს უფლება აქვს თავისუფალი კურსები აირჩიოს, როგორც საზოგადოებრივი გეოგრაფიის, ასევე საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სხვა სამაგისტრო პროგრამებიდან ან უცხოეთის რომელიმე უნივერსიტეტის კურიკულუმიდან (უკანასკნელი პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმების საფუძველზე).

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

<u>უნივერსიტეტი</u>/ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / **მიმართულება**: საზოგადოებრივი გეოგრაფია

სასწავლო პროგრამის სახელწოდება: საზოგადოებრივი გეოგრაფია

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი / კოორდინატორ(ებ)ი: პროფესორი გიორგი გოგსაძე

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: №57/2011, დანართი 62

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების ნომერი და თარიღი): დადგენილება №30/2013 -18 თებერვალი, 2013; დადგენილება № 17/2014-19 თებერვალი, 2014; დადგენილება №81/2014-4 სექტემბერი, 2014; დადგენილება №22/2015 - 9 თებერვალი, 2015; დადგენილება №38/2015 - 9 მარტი, 2015; დადგენილება №68/2015 - 6 ივლისი, 2015; დადგენილება № 137/2015 - 28 დეკემბერი 2015; დადგენილება № 22/2016 - 19 თებერვალი, 2016; დადგენილება № 9/2017 - 23 იანვარი, 2017; დადგენილება №21/2017 - 20 თებერვალი, 2017; დადგენილება № 90/2017 - 25 ივლისი, 2017

აკადემიური საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ დადგენილება N 137/2015, 28

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2012-2013

პროგრამის სტრუქტურა

საფაკულტეტო კურსები/მოდულები										
საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო კურსები/მოდულები 60 კრედიტი (ECTS) (30 კრედიტი სავალდებულო საგნები, 30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომი)										
№	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა (ECTS)	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში			სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/ ლექტორები
			ლექცია	სამუშაო ჯგუფი/ პრაქტიკუმი	შუალედური და დასკვნითი გამოცდა			შემოდგომა	გაზაფხული	
1	ინგლისური ენა 1	5	30	15	7	73	წინაპირობის გარეშე	X		ენების ცენტრის პედაგოგი თამარ იაშვილი
2	ინგლისური ენა 2	5	30	15	7	73	ინგლისური ენა 1		X	ენების ცენტრის პედაგოგი თამარ იაშვილი
3	გეოინფორმაციული ტექნოლოგიები სოციალურ და პოლიტიკურ კვლევებში 1	5	30	30	5	60	წინაპირობის გარეშე	X		ასისტენტ პროფესორი ვლადიმერ ჩხაიძე
4	გეოინფორმაციული ტექნოლოგიები სოციალურ და პოლიტიკურ კვლევებში 2	5	30	30	5	60	გეოინფორმაციული ტექნოლოგიები სოციალურ და პოლიტიკურ კვლევებში 1		X	ასისტენტ პროფესორი ვლადიმერ ჩხაიძე

5	განვითარების გეოგრაფია	5	30	15	5	75	წინაპირობის გარეშე	X		ასოცირებული პროფესორი ვალერიან მელიქიძე
6	მსოფლიო ეკონომიკის გეოგრაფია	5	30	15	6	74	წინაპირობის გარეშე		X	ასოცირებული პროფესორი თამარ დოლბაია
7	სამაგისტრო ნაშრომი	30	-	-	-	-	-		X	
არჩევითი მოდული 1(სოციალური და პოლიტიკური გეოგრაფია): 30 კრედიტი (ECTS)										
1	სოციალური გეოგრაფია	5	30	15	5	75	წინაპირობის გარეშე		X	ასოცირებული პროფესორი ვალერიან მელიქიძე
2	მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია	5	30	15	5	75	წინაპირობის გარეშე	X		ასოცირებული პროფესორი ვალერიან მელიქიძე
3	გეოპოლიტიკა და ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გეოგრაფია	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე	X		პროფესორი გიორგი გოგსაძე
4	კავკასიის გეოპოლიტიკა	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე		X	მოწვეული ლექტორი ვახტანგ მაისაია
5	ბრიტანეთის პოლიტიკა და პოლიტიკური გეოგრაფია	5	30	15	7	73	წინაპირობის გარეშე		X	პროფესორი რევაზ გაჩეჩილაძე
6	აკადემიური წერა (მაგისტრანტებისთვის)	5	30	15	3	77	წინაპირობის გარეშე	X		მოწვეული ლექტორი თათია ქართლელიშვილი
7	ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური გეოგრაფია	5	30	15	6	74	წინაპირობის გარეშე		X	პროფესორი რევაზ გაჩეჩილაძე
8	საქართველოს რეგიონალური ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევები	5	30	15	5	75	წინაპირობის გარეშე	X		მოწვეული ლექტორი რუსუდან თევზაძე

9	თანამედროვე საერთაშორისო კონფლიქტები	5	30	15	5	75	წინაპირობის გარეშე		X	ასოცირებული პროფესორი ზურაბ აბაშიძე
არჩევითი მოდული 2 (ტურიზმის გეოგრაფია და სივრცითი განვითარება): 30 კრედიტი (ECTS)										
10	ტურისტული საქმიანობის ორგანიზება	5	15	30	3	77	წინაპირობის გარეშე		X	ასოცირებული პროფესორი ნინო პავლიაშვილი
11	ევროპის ტურიზმის გეოგრაფია	5	15	30	3	77	წინაპირობის გარეშე	X		ასოცირებული პროფესორი ნინო პავლიაშვილი
12	ტურიზმის თეორია და პოლიტიკა	5	15	30	3	77	წინაპირობის გარეშე	X		მოწვეული ლექტორი ნიკოლოზ კვარაცხელია
13	საველე პრაქტიკა რეგიონულ ტურიზმში (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა)	5	6	72	17	30	წინაპირობის გარეშე		X	ასოცირებული პროფესორი ნინო პავლიაშვილი
14	ტურიზმის მარკეტინგი	5	30	15	6	74	წინაპირობის გარეშე	X		ასოცირებული პროფესორი ია იაშვილი
15	მიწის პოლიტიკა და მიწის ადმინისტრირება	5	30	15	5	75	წინაპირობის გარეშე		X	პროფესორი იოსებ სალუქვაძე
16	ქალაქის ეკოლოგია და თანამედროვე ურბანული თეორიები	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	X		მოწვეული ლექტორი მამუკა სალუქვაძე
17	საზოგადოებრივი განვითარება და ბუნებრივი გარემო	5	30	15	5	75	წინაპირობის გარეშე	X		ასოცირებული პროფესორი ვალერიან მელიქიძე
18	საველე პრაქტიკა - “ტურიზმის მდგრადი	5	10	50	5	60	ტურიზმის მარკეტინგი	X		ასოცირებული პროფესორი ნინო პავლიაშვილი

	განვითარება ტრანსდისციპლინური მიდგომით”*						ტურისტული საქმიანობის ორგანიზაცია			
19. პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსი - 10 კრედიტი (მოდული 1 ან მოდული 2-დან)										
20	სამაგისტრო ნაშრომის დიზაინი	5	30	15	4	76	წინაპირობის გარეშე		X	ასისტენტ-პროფესორი დავით სიჭინავა
თავისუფალი კურსები - 20 კრედიტი (ECTS)										

* ამოქმედდეს 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან

სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელის ხელმოწერა: _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა: _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: _____

თარიღი: _____

ფაკულტეტის ბეჭედი: